პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 9 აპრილი, 1952 წ. № 85 (9245). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

მილიონთა მასების შემოქმედებითი აქტივობა — „პრავდის“ 8-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის XVII საოლქო პარტიული კონფერენცია (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა (მე-2 და მე-3 გვერდი).
დეპუტატ ბ. ე. ლომინაძის სიტყვა (მე-3 გვერდი).
დეპუტატ ა. ვ. ფალავის სიტყვა (მე-3 გვერდი).
გამრთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში (მე-4 გვერდი).
საერთაშორისო ეკონომიური თათბირზე (მე-4 გვერდი).

მილიონთა მასების შემოქმედებითი აქტივობა

ლენინ-სტალინის პარტია მთელი ჩვენი ხალხის უსაზღვრო ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს. ეს ნდობა მან მოიპოვა თავისი სწორი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, სწორი ბოლშევიკური პოლიტიკით, ხალხისადმი ერთგულებით და იმით, რომ მას შეუძლია გაუძღვეს ხალხს.

პარტიამ ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა მშრომელთა უფართოესი მასები. მშრომელთა აქტივობა გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის.

ამხანაგ სტალინისადმი კრასნოდარის მხარის კოლმეურნეთა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, საბყეთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა წერილი, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, კვლავ და კვლავ ცხადყოფს, თუ რა ენთუზიაზმით, პოლიტიკური და შრომითი აქტივობით იბრძვიან საბჭოთა ადამიანები კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის. ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, უუბანის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გააჩაღეს შეჯიბრება 1952 წლის სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. პარტიის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა ყოფილების სახიცოცხლო საფუძველია, მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ჩვენი ხალხი. სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის მთელ თავიანთ მუშაობაში ჩვენი აღგილობრივი პარტიული ორგანოები — ემყარებიან საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებს. არიან რა თვით მასების ორგანიზაციები, ისინი თავის გარშემო იკრებენ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის მრავალრიცხოვან აქტივს.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1925 წელს ამბობდა:

„...ჩვენი ძირეული პარტიული, საბჭოთა, კულტურული, პროფესიული, საგანმანათლებლო, კომკავშირული, საარმიო, ქალთა განყოფილებებისა და ყოველნაირი სხვა ორგანიზაციების გარშემო ფუტკარივით ირეკვან თავისი ნებით შექმნილი ორგანიზაციები, კომისიები და თათბირები, რომლებიც უპარტიო მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებს მოიცავენ, ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური, შეუმჩნეველი, წვრილმანი, უხმაურო მუშაობით ქმნიან საბჭოთა საფუძველსა და ცხოვრებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროს. ეს მილიონიანი ორგანიზაციები რომ არა, რომლებიც ჩვენი საბჭოთა და პარტიული ორგანოების გარშემო მოქმედებენ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და განვითარება, უდიდესი ქვეყნის ხელმძღვანელობა და მართვა აბსოლუტურად წარმოუდგენელი იქნებოდა“.

მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების ძალაა პარტიული ხელმძღვანელობა. პარტია ჩვენს კადრებს ასწავლის ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციები, ყოველდღიურად წარმართონ მათი მუშაობა და მათი დახმარებით განავითარონ მილიონიანი მასების შემოქმედებითი აქტივობა.

მთავარ ყურადღებას აქცევენ რა პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებს, აღგილობრივი პარტიული ორგანიზაციები იღებენ საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანოების განმტკიცების, მათი მუშაობის დონის ამაღლების ღონისძიებებს. სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას საფუძვლად უდევს ამხანაგ სტალინის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა დავეუფლოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდს, რაც იმით გამოიხატება, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და მეურნეობას ვუხელმძღვანელოთ არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი მეშვეობით.

მასებში დიდ და მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოები. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავენ აღგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პარტიის მინსკის საქალაქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანს განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი კვალიფიციური კადრებით საბჭოთა ორგანოების განსამტკიცებლად. საქალაქო კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მუშაკების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას და მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას. განუწყვეტლივ იზრდება საბჭოების როლი ქალაქების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში, სკოლების, საავადმყოფოების, სასადილოების, სავაჭრო საწარმოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. აღგილობრივი მრეწველობის საწარმოები და სარეწაო კოოპერაციის არტელები აღიდებენ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას.

მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დარგში პარტიული ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფკავშირებს. ამ მხრივ ბევრ რამეს აკეთებს პარტიის ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიკომი. პროფკავშირთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით რაიკომი განამტკიცებს მათ კვალიფიციური კადრებით, პერიოდულად იხილავს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებს პროფკავშირული ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ, აწყობს სემინარებსა და თათბირებს პროფკავშირთა ხელმძღვანელების გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად, პროფკავშირული აქტივის სხვადასხვა ჯგუფების თათბირებს. პროფკავშირული ორგანოების ამასწინანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ხელი შეუწყეს პარტიულ ორგანიზაციებს განეზოგადებინათ პროფკავშირული მუშაობის დადებითი გამოცდილება, გამოემუღავნებინათ ნაკლოვანებანი და დაესახათ მათი აღმოფხვრის გზები. გაიზარდა პროფკავშირთა როლი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის შეჯიბრებაში, მუშათა კულტურისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ამ უკანასკნელ ხანს ბევრმა პარტიულმა ორგანომ გააძლიერა ყურადღება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი. პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებსა და პლენუმებზე უფრო ხშირად განიხილავენ მათი მუშაობის საკითხებს. ათეულ ათასობით პარტიული პროპაგანდისტი ეწევა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას კომკავშირული განათლების სისტემაში. ახლა უფრო მეტია ზრუნვა ახალგაზრდობის საწარმოო სწავლების, აგრეთვე კულტურისა და ყოფაცხოვრებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ახალგაზრდობის ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ ზრდას.

განამტკიცებენ რა მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, აღგილობრივი პარტიული ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მათი კადრების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, ინიციატივის განვითარებასა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამის მეოხებით მაღლდება კადრების იდეურ-პოლიტიკური დონე და საქმიანი კვალიფიკაცია, ფართოვდება პარტიული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, ვითარდება მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ზოგიერთი აღგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ განაგრძობს საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანოების შეცვლას, ამცირებს მათს როლსა და პასუხისმგებლობას ამ ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის და ამით ასუსტებს თავის კავშირს მასებთან. ახეთი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელებს ავიწყდებათ პარტიული ხელმძღვანელობის ის ძირითადი მოთხოვნა, რომ მთავარ ყურადღებას უნდა უთმობდნენ პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებს, ხოლო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ არა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი მეშვეობით.

ზოგიერთი პარტიული ორგანო ნაცვლად იმისა, რომ განამტკიცებდეს მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდეს მათს მუშაობას, წვრილმანი მეურვეობის გზას ადგება. მათ გამოაქვთ უთვალავი გადაწყვეტილება წვრილმან სამეურნეო და სხვა საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლიათ და უნდა გადაწყვიტონ კიდევაც საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა. ასეთი პრაქტიკა პარტიული ორგანოების ყურადღებას აშორებს პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებს. ამასთანავე ეს პრაქტიკა ამცირებს მასობრივ ორგანიზაციებში მომუშავე მრავალრიცხოვანი კადრების როლსა და პასუხისმგებლობას თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისათვის.

თანამედროვე პირობებში, როცა პირველ პლანზეა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობას. აღგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიურად უნდა აინტერესებდეთ, თუ როგორია საქმის ვითარება მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში, უნდა განამტკიცებდნენ მათ კადრებით, წარმართავდნენ მთელ მათს მუშაობას.

მასებთან ურღვევი კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყური დაუგდონ მასების ხმას, — აი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალისა და უძლეველობის წყარო. საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები ის ამძრავი ღვედებია, რომლებიც პარტიას აკავშირებს მასებთან. მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა საწინდარია.

„პრავდის“ 8-IV მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჰიდროპროექტის უფროსის, ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მშენებლობის მთავარი ინჟინრის ს. ი. ჟუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროპროექტის უფროსის, ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მშენებლობის მთავარი ინჟინრის ამხ. ს. ი. ჟუკის დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით და ჰიდროტექნიკური მშენებლობის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. სერგი იაკობის-ძე ჟუკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1952 წ. 5 აპრილი.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

შრომითი აღმავლობა ბათუმის საწარმოებში

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. მაღალ მაჩვენებლებს აღწევს საგაგონო დეპოს კოლექტივი, რომელიც წარმატებით გაანაღდა პირველი კვარტალის დავალება და ახლა აპრილის გეგმის 10 დღით ადრე შესრულებისათვის იბრძვის. შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა სამგზავრო ვაგონების ახსნითი შეკეთების საამქრო, რომელსაც ოსტატი ვ. ხალვაში ხელმძღვანელობს. საამქროს კოლექტივი ამჟამად გეგმის გადამეტებით აწარმოებს სამგზავრო ვაგონების გამაჯანსაღებელ შეკეთებას.

საამქროში სტახანოვური შრომით სახელი გაითქვეს ზეინკლებმა ა. მაქაცარიამ და პ. კოვალიოვმა, დურგალმა კ. ვაჭარაძემ, მღებავებმა ვ. ბელანმა და ე. რუსანოვამ.

სამეურნეო წლის პირველი თვეებიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ბათუმელი მეფანერეები. ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა ფანერის საამქრო. საამქროს კოლექტივმა თებერვალში გეგმის გადამეტებით გადმოუშვა 36 კუბმეტრი ფანერი და ქარხნის საამქროთა შორის გარდამავალი დროშა მოიპოვა. საამქროს კოლექტივი ახლა ყოველდღიურ დავალებას 115 პროცენტით ანაღდებს. სტახანოვური შრომით გამოირჩევიან ა. ტაბიძე, ა. სინიცკაია, ე. შაპოვალოვი, ო. ქიშმარიშვილი და სხვები, რომლებიც დავალებათა გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ზუსტად იცავენ ტექნოლოგიურ პროცესს და აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.

საპირველმაისო შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე ლუდის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 18 მარტისათვის შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა.

მეჯაღურგთა საწარმოო გამარჯვება

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავის მეტალურგებმა ბელადისადმი გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო შრომითი წარმატებანი მოიპოვეს. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 29 მარტისათვის შეასრულა.

აპრილში რუსთავის მეტალურგები ახალი საწარმოო გამარჯვებისათვის იბრძვიან.

ცემენტი გეგმის გადამეტებით

კასპი. („კომ“. კორ.). სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა ცემენტი. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა პირველი კვარტალი ცემენტის დაფქვის საამქროს იმ ცვლამ, რომელსაც ა. პავლიაშვილი ხელმძღვანელობს.

ქარხნის სტახანოველები სტახანოვურ ვახტზე დგანან და აპრილში ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ.

მზადდება ქვანახშირის ახალი ღავები

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხის ქვანახშირის შახტებში სამუშაო ფრონტს საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. ქვანახშირის ამოღების პარალელურად არ წარმოებდა ახალი ღავების მომზადება. ეს კი იწვევდა ქვანახშირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობას.

მარტის მეორე დეკადაში პირველი შახტის მუშახტეები შეუდგნენ ახალი მძლავრი ღავების მომზადებას, რომელთა ექსპლოატაცია ნავარაუდევია ხანგრძლივი პერიოდისათვის. მუშახტეები წარმატებით ძლევენ რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებს და ჩქარი ტემპით მუშაობენ მეოთხე ფენში ორი ახალი ღავის მოსამზადებლად. ასეთივე მუშაობა წარმოებს აგრეთვე მეორე ფენში, სადაც მზადდება 160 მეტრი სიგრძის ღავი.

გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული აგრეთვე კაპიტალური გამონამუშევრების გაყვანაზე. მოკლე დროში დამთავრდება დასავლეთი და აღმოსავლეთი საველე შტრეკებისა და ქანობის გაყვანა, რაც საგრძნობლად გაადიდებს ქვანახშირის ამოღებას.

მეოთხე ფენის ღავის მოსამზადებლად დიდ მუშაობას ეწევიან სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ის ბრიგადები, რომლებსაც გამოცდილი მნგრეველები მ. ბოჩკარიოვი და ნ. ლავრენტიევი ხელმძღვანელობენ.

სამთო გამონამუშევრების გაყვანაში საუკეთესო წარმატებანი აქვთ ს. ჯამასაპიშვილის და პ. ბირიულინის ბრიგადებს. სასახელოდ მუშაობენ მებიგეები რ. ქომერიძე, მნგრეველები ქ. გალუსტიანი და ვ. სარქისიანი.

ახალციხელი მუშახტეები იმისათვის იბრძვიან, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს.

ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის XVII საოლქო პარტიული კონფერენცია

ამ დღეებში თბილისში გაიმართა ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის XVII საოლქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა ნ. რომანოვმა.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან: ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ანტონოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მგელაძე, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. არუთინოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბუჯიაშვილი, გენერლები მ. მირონოვი, პ. ეფიმოვი, ნ. რომანოვი, ა. ტარასოვი და სხვები.

კონფერენციის დელეგატებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოხსენება „პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფის დარგში პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ გააკეთა ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ა. ანტონოვმა.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე საოლქო პარტიული კომისიის ანგარიში.

მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომლის მონაწილეებმაც ილაპარაკეს იმ დიდი მუშაობის შესახებ, რასაც ეწევიან პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების უზრუნველყოფისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცების დარგში.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

დახურული (ფარული) კენჭისყრით კონფერენციამ აირჩია საოლქო პარტიული კომისიის ახალი შემადგენლობა.

XVII საოლქო პარტიულმა კონფერენციამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. მან ცხადყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბოლშევიკების ურყევი დარაზმულობა და უსაზღვრო ერთგულება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი, ცხადყო მათი მზადყოფნა მთელი ძალღონე მოახმარონ ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშის გრიალში მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს **ი. ბ. სტალინისადმი.** (საქდესი).

ვესიოლის საბუმბავ საღგურში

ვესიოლი (როსტოვის ოლქი), 7 აპრილი. (საკდესი). ვესიოლის სატუმბავი სადგური წყალს მიაწოდებს ვესიოლის წყალსაცავიდან ვოლგა-დონის სარწყავი სისტემის აზოვის 90-კილომეტრიან განმანაწილებელ არხს. ყველა სამშენებლო სამუშაო აქ უკვე დამთავრდა. დამონტაჟებულია მილსადენები. ელექტროქვესადგურიდან სატუმბავი სადგურის შენობამდე გაყვანილია კაბელი. უკვე მზად არის ასამუშავებლად პირველი სატუმბავი აგრეგატი. მთავრდება ელექტროძალოვანი მეურნეობის მოწესრიგება და შემოწმება. გუშინ მშენებლები შეუდგნენ სატუმბავ სადგურთან მიმყვანი არხის ვესიოლის წყალსაცავის წყლით ავსებას. გვიან საღამოს მიწის ზღუდარი, რომელიც აზოვის განმანაწილებელ არხს წყალსაცავისაგან ჰყოფს, გახვრეტილ იქნა, და წყალი წავიდა ქვემო წყალსაკრებ აუზში. დღეს დღის ბოლოს აუზის წყლის დონემ უკანასკნელ საპროექტო ნიშანს მიაღწია.

მალე იაირთვება პირველი მოტორი. იგი აამოძრავებს მძლავრ სატუმბავ აგრეგატს. მაშინ წყალი აზოვის განმანაწილებელ არხში წავა.

მიწისმწოვი მანქანა თურქმენეთის მთავარი არხისათვის

აშხაბადი, 4 აპრილი. (საკდესი). ამ დღეებში ჩარჯოუს ნავმისადგომს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ემჩნევა. აქ ხდება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის მიწისმწოვი მანქანის დეტალებით მოსული ეშელონის გადმოტვირთვა. დეტალების გადმოტვირთვისათვის სხვადასხვა მექანიზმს იყენებენ.

მძლავრი აგრეგატი მოტანილია ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლობიდან, სადაც მან კაშხალში ჩაუშვა დაახლოებით სამი მილიონი კუბური მეტრი გრუნტი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

პრაღა. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ დაამთავრა 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა. დეპუტატებმა და სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრის ა. ზაპოტოცკის სიტყვა.

ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად დაამტკიცა ჩეხოსლოვაკიის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, აგრეთვე ბიუჯეტის კანონი და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტი გათვალისწინებულია შემოსავალი — 324.282.296 ათასი კრონა და გასავალი — 323.528.941 ათასი კრონა, აქედან: სახალხო მეურნეობისა და მისი მართვისათვის — 217.499.273 ათასი, კულტურული და სოციალური ღონისძიებებისათვის — 58.779.269 ათასი, ეროვნული უშიშროებისათვის — 22.452.996 ათასი, სახელმწიფო მმართველობისათვის — 20.095.605 ათასი და სახელმწიფო ვალის დასაფარავად — 4.701.798 ათასი კრონა.

ალგანეთში დამთავრდა მძლავრი რადიოსადგურის მშენებლობა

ტირანა. (საკდესი). გუშინ ტირანის მახლობლად ზეიმით გაიხსნა ახალი რადიოსადგური. გახსნას დაესწრნენ ენვერ ხოჯა, მთავრობის წევრები, ალბანეთის შრომის პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების წევრები, რომლებიც ჩამოვიდნენ ალბანეთის შრომის პარტიის მეორე ყრილობაზე.

რადიოსადგური აღჭურვილია უახლესი საბჭოთა აპარატურით.

უნგრეთში ძლიერდება ინტერესი რუსული ენისა და ლიტერატურისადმი

ბუდაპეშტი. 6 აპრილი. (საკდესი). უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრის ერთთვიურის დროს უნგრეთში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი რუსული ენის შესწავლისადმი. ერთთვიურის დაწყებამდე უნგრეთში იყო რუსული ენის შემსწავლელი 210 კურსები, რომლებიც მოაწყეს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ და საბჭოთა წიგნის სახლმა ბუდაპეშტში. ახლა მათი რიცხვი 1.500-ს აღწევს. ბუდაპეშტში კურსების რაოდენობა ერთნახევარჯერ გაიზარდა. ბან-კიშენის კომიტეტში ერთთვიურის დროს შეიქმნა 40 ახალი კურსები. რუსულ ენას სწავლობს ათეულათასობით უნგრელი.

ძლიერდება ინტერესი აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურისადმი, რომელიც რუსულ და უნგრულ ენებზე გამოდის.

აგრარული რეფორმა ჩინეთში

პეკინი, 6 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ცინხაიეიბაო“ იუწყება, რომ გასული წლის ოქტომბერში შანხაის პროვინციის 6 მაზრაში და ქალაქ სინინის საგარეუბნო რაიონებში დაწყებული აგრარული რეფორმა უკვე დამთავრებულია 160 სოფელში, სადაც 719 ათასი კაცი ცხოვრობს.

გლეხები, რომლებმაც მიწა მიიღეს, დიდი აღმავლობით ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებას ვარშავაში მაღალი შენობის აგების შესახებ

1952 წლის 5 აპრილს ვარშავაში, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანდასწრებით, ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაღალი შენობის აგების შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთის რესპუბლიკაში ა. ა. სობოლევმა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — პრემიერ-მინისტრმა ი. ცირანკევიჩმა.

ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად სსრ კავშირის მთავრობა ვარშავაში საბჭოთა კავშირის ძალებითა და სახსრებით ააგებს კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაღალ, 28-30-სართულიან შენობას, რომელშიც პოლონეთის მთავრობის სურვილისამებრ მოთავსდება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, მრეწველობისა და ტექნიკის მუზეუმი, საგამოფენო დარბაზები, კონგრესების დარბაზი, თეატრალური და საკონცერტო დარბაზები და კინოთეატრი.

კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს კისრულობს საბჭოთა კავშირის მთავრობა.

შენობის აგებაში, რასაც საბჭოთა მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, განახორციელებენ, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე პოლონელი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ამ რამდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ განიხილა და დამტკიცა სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ახალ მნიშვნელოვან ნაბიჯს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის საქმეში. ბიუჯეტში ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა, ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძონ მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ომისშემდგომი წლების განმავლობაში. ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებამ და კულტურის მძლავრმა აღმავლობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო ბიუჯეტის განუხრელ ზრდაში.

1951 წლის განმავლობაში სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა წინა წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა. მკვეთრი ზრდა ახასიათებს სოციალისტურ სოფლის მეურნეობასაც. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 7 მილიარდ 400 მილიონ ფუთს მიაღწია; განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადიდდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა.

სახალხო მეურნეობის განმტკიცებასთან სდევდა მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. 1951 წელს საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1950 წლის მიმართ შესადარ ფასებში 12 პროცენტით გაიზარდა.

სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე გაშლილია დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა. განსაკუთრებული სიყვარულით და წარმატებით ეწევა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის დიადი ობიექტების მშენებლობას — ვოლგაზე, ამუ-დარიაზე, დონსა და დნეპრზე, რაც დაწყებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით.

სოციალისტური წყობილების უპირატესობათა ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ღირსშესანიშნავი მიღწევები, რომლებიც მათ მოიპოვეს ამ უკანასკნელ წლებში.

თავისი მტკიცე, თანამიმდევრული, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით საბჭოთა ქვეყანამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის, მთელ მოწინავე პროგრესულ კაცობრიობაში უდიდესი ნდობა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

ამავე დროს მშრომელთა მატერიალური დონის შეზღუდვის საშუალებით, ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები წლითიწლობით ზრდიან სამხედრო ხარჯებს თავიანთ ბიუჯეტებში და ეწევიან გაშმაგებულ მზადებას ახალი სისხლისმღვრელი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად.

მათი თავხედობა იქამდე მიდის, რომ ოფიციალური კანონის სახით ითვალისწინებენ ფულადი დახმარება გაუწიონ დივერსანტებსა და ჯაშუშებს, რომლებიც სურთ გამოიყენონ საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

მაგრამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასები სულ უფრო ნათლად ხედავენ ინგლის-ამერიკის მმართველი ბრბოს საზიზღარ საქმიანობას. მათ არა სურთ სისხლი დაღვარონ მონოპოლისტთა მოგების გასადიდებლად და ამიტომ მტკიცედ და ორგანიზებულად გამოდიან მშვიდობის დასაცავად. მშვიდობის მძლავრი ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, უდიდესი ფაქტორია ხალხთა კეთილდღეობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს, ყველა საკავშირო რესპუბლიკის შეუზერებელ წინსვლას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმ ბრძნულ პოლიტიკას და უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას, რომელსაც ახორციელებს ბოლშევიკთა გმირული პარტია, მშრომელთა გენიალური ბელადი, ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედი, ხალხთა დიდი მასწავლებელი და მეგობარი ამხანაგი სტალინი. **(მეტუხარე ტაში).**

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ისევე როგორც ყველა სხვა მოძმე რესპუბლიკამ, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის მუდმივი დახმარების შედეგად, სერიოზული წარმატებები ჰოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

შარშან ჩვენმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამომუშავების გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, ამასთან წარმოების საერთო მოცულობა წინა წელთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა.

ყველა რესპუბლიკურმა და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტრომ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამომუშავების 1951 წლის გეგმა.

1951 წლის გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა დიდძალი სხვადასხვა სახის სამრეწველო ნაწარმი.

ამჟამად საბჭოთა საქართველოს მრეწველობის განვითარების დამახასიათებელია მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც დაკავშირებულია ომის შემდეგ მთელი რიგი მსხვილი ინდუსტრიული ობიექტების მშენებლობასთან.

მკვეთრად იზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება, ქვანახშირის მოპოვება, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საშენ მასალათა წარმოება და სხვ.

საქართველოს მძიმე მრეწველობის სიმაყე—რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სულ უფრო და უფრო ადიდებს გამომუშავებული პროდუქციის ნომენკლატურას და მოცულობას.

შარშან ქართული ფოლადის გამოშვება წინა წელთან შედარებით ერთიანად გაიზარდა. ფოლადთან ერთად, რუსთავის ქარხანამ აითვისა ხარისხოვანი ნაგლინისა და მილების ნამზადის წარმოება. წელს მან უნდა აითვისოს თვით მილების წარმოებაც. რუსთავის მოწინავე ახალგაზრდა მუშები, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულნი, სოციალისტური შრომის ნაყოფიერების მაღალ მაგალითებს იძლევიან.

შარშან ჩვენს ინდუსტრიას შეემატა ახალი მძლავრი საწარმო. ამუშავდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც აითვისა და უკვე მასობრივად უშვებს „ზის-150“ ტიპის საბარგო ავტომანქანებს.

წარმატებით ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს 1945 წელთან შედარებით გამოშვებულია: აბრეშუმის ქსოვილები ორჯერ მეტი, ფეხსაცმელი სამჯერ მეტი, ჩაი—4,5-ჯერ მეტი და ა. შ.

რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი ახალი ჰიდროსადგურების, საშენი მასალების, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს რესპუბლიკის ინდუსტრიულ ბაზას.

ჩვენი მრეწველობის მრავალ დარგს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ენიჭება. რესპუბლიკა აწვდის სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონს არა მარტო ჩაის, ღვინოს, თამბაქოს და კვების სხვა პროდუქტებს, არამედ ლითონსაჭრელ და საფეიქრო დაზგებს, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობას, ზუსტ აპარატებს და ხელსაწყოებს, ავტომანქანებს და მრავალ სხვა სამრეწველო ნაკეთობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას თავისი ნაწარმით წვლილი შეაქვს კომუნიზმის დიად მშენებლობათა მომარაგების საქმეში. საბჭოთა საქართველოს ქარხნებიდან ამ დიად მშენებლობებს ეგზავნება სხვადასხვა სახის მანქანა-მოწყობილობა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ფართოდ არის გაშლილი მუშათა სოციალისტური შეჯიბრება აგრეგატების, მანქანა-მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირებისათვის.

ჩქაროსნები მანქანათმშენებელ და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში შრომის ნაყოფიერების ზრდის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის ნოვატორული მეთოდების გამოყენება საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც აუმჯობესებს.

ყველა ის წარმატება, რაც საქართველოს მშრომელებმა სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში მოიპოვეს, ემყარება იმ მუდმივ დახმარებასა და მზრუნველობას, რომელსაც გვიწევენ საბჭოთა მთავრობა, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, დიდი ბელადი და მასწავლებელი მშობლიური ამხანაგი სტალინი. **(ტაში).**

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, მრეწველობის მუშაობას ჯერჯერობით კიდევ ბევრი და სერიოზული ნაკლი ახასიათებს.

მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, კმაყოფილდებოდნენ რა მრეწველობის მუშაობის საერთო მაჩვენებლებით, არ იღებდნენ საჭირო ზომებს ჩამორჩენილი საწარმოების მიერ გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად და პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკაში სამრეწველო სამინისტროების საწარმოებიდან 21 პროცენტმა ვერ შეასრულა დაწესებული გეგმა. ამის შედეგად მათ დააკლეს ჩვენს სახელმწიფოს 65 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა პროდუქცია.

რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს შორის გეგმა ვერ შეასრულეს: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 3 საწარმომ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 2 საწარმომ, სატყეო მრეწველობის სამინისტროს 5 საწარმომ, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 11 საწარმომ, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 35 საწარმომ და კვების მრეწველობის სამინისტროს 11 საწარმომ.

ზოგიერთმა სამინისტრომ და ორგანიზაციამ არადამაკმაყოფილებლად დაიწყო მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულება.

მაგალითად, შეუსრულებელი დარჩათ როგორც იანვრის, ისე თებერვლის საერთო პროდუქციის გამომუშავების გეგმა: საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, სარეწაო კოოპერაციას, ინვალიდთა კოოპერაციას და პოლიგრაფსამმართველოს.

ამ ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ გარდვევის ლიკვიდაციისათვის და უზრუნველყონ 1952 წლის გეგმის მთლიანად შესრულება.

მთელ რიგ საწარმოებში მთლიანად გამოყენებული არ არის მოწინავე ტექნიკა, მექანიზმები არასრულ დატვირთვით მუშაობენ, დაბალ დონეზე დგას შრომის ორგანიზაცია.

მოწინავე ნოვატორთა გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი დიდი რეზერვები აქვთ სამრეწველო საწარმოებს არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების საქმეში.

შინაგანი რეზერვების სრული გამოყენება ჩვენი სამრეწველო სამინისტროების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია.

უნდა ფართოდ დავნერგოთ ნოვატორთა გამოცდილება და უზრუნველვყოთ საწარმოებში ტექნიკისა და მატერიალურ ფასეულობათა მაქსიმალურად გამოყენება.

* * *

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ ძნარად კაპიტალურ მშენებლობას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ადგილობრივი საშენი მასალა: აგური, კრამიტი, კირი და სხვ. მაგრამ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ამ მოთხოვნილებას ცუდად აკმაყოფილებს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ სამინისტრომ მხოლოდ 76,9 პროცენტით შეასრულა. სახალხო მეურნეობას მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დააკლო 7 მილიონზე მეტი ცალი აგური და ოთხას ათას ცალზე მეტი კრამიტი. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აგურის 8 ქარხნიდან არც ერთს, გარდა ხაშურის ქარხნისა, არ შეუსრულებია აგურის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა.

გეგმის შესრულებაში ასეთი მნიშვნელოვანი ჩამორჩენის მიზეზია სამინისტროს არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა საწარმოებისადმი, ხოლო თვით საწარმოებში—მუშაობის ცუდი ორგანიზაცია როგორც წარმოების, ისე მშენებლობის დარგში.

საწარმოებში ირღვევა მეცნიერული ტექნოლოგიური პროცესები; უკანასკნელ წლებში დადგმული ახალი მანქანები და მექანიზმები სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შრომის ორგანიზაცია და წამყვანი პროფესიების კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

გამოშვებული აგურის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალი ხარისხისაა.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება როგორც ახალ საწარმოთა მშენებლობის, ისე მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 1951 წელს მხოლოდ 68,4 პროცენტით შესრულდა.

სამინისტროს მუშაობაში დიდ ნაკლოვანებათა არსებობა გვაიძულებს სერიოზულად გავაფრთხილოთ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. პაატაშვილი და საწარმოთა ხელმძღვანელები, რომ ასეთი ჩამორჩენა შემდეგში ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელია.

მინისტრმა და სამინისტროს კოლეგიამ, საწარმოთა ხელმძღვანელებმა მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდონ ხელი მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას და უზრუნველყონ მიმდინარე წელს საწარმოო პროგრამის როგორც საერთო ოცულობის, ისე პროდუქციის ხარისხის მიხედვით შესრულება.

* * *

ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელებმა დაივიწყეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ წარმატებებს აქვთ ჩრდილოვანი მხარეც, რაც ბადებს უკრიტიკო დამოკიდებულებას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისადმი და ქმნის ობივატელური დამშვიდების გრძნობას.

ალბათ ამით უნდა ავხსნათ, რომ გარდა იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც ახასიათებს ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ დარგს და ცალკე საწარმოებს, რაც უკვე აღვნიშნეთ, სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს ჩვენი მუშაობის სხვა დარგებშიც.

სამართლიანად გააკრიტიკეს დეპუტატებმა, კერძოდ, დეპუტატმა ქანდარიამ, კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა და საკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს ქალაქებსა და რაიონებს კეთილმოწყობის და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩვენი ქალაქისა და რაიონული ცენტრის ხელმძღვანელები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ გარეგნულ გაფორმებას, რაზეც ზოგჯერ უკანონოდ ხარჯავენ დიდ თანხებს, მაშინ, როცა იმავე ქალაქის ან იმავე რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის ძირითადი ობიექტები და კომუნალური საწარმოები (წყლით მომარაგება, ელექტრომეურნეობა, საბინაო ფონდი, აბანოები, სასტუმროები და სხვ.) შეუწყნარებელ მდგომარეობაშია.

დამახასიათებელია ამ მხრივ ბოლნისისა და ყვარლის მაგალითები. ამ რაიონის ხელმძღვანელებმა რაიონის ცენტრებში დიდი რაოდენობით დადგეს ძვირადღირებული ელექტროლამპიონები, მაშინ როცა აღნიშნული ცენტრების კომუნალური მეურნეობა და კეთილმოწყობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

საჭირო კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ოლქების, ქალაქების და რაიონების აღმასკომებმა — ქალაქებისა და სოფლების გარეგნულად გამშვენებასთან ერთად, რაც უთუოდ საჭიროა, მეტი ყურადღება მიაქციონ კომუნალური მეურნეობის და საყოფაცხოვრებო საკითხების მოწესრიგებას.

მიუხედავად იმ წარმატებისა, რომელიც მოიპოვა ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმემ და ხელოვნებამ, ამ დარგებსაც ჯერჯერობით მრავალი ნაკლი ახასიათებს.

განათლების სამინისტროს ყველა სკოლაში მაღალ დონეზე ვერა დგას სწავლების ხარისხი, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა. ზოგიერთ რაიონში სწავლის ასაკის ახალგაზრდობის ნაწილი სკოლის გარეთ არის დარჩენილი.

ხელოვნების სამმართველომ ვერ მიაღწია თეატრების მუშაობის გაუმჯობესებას. ზოგიერთი სპექტაკლის მხატვრული და იდეური დონე სათანადო სიმაღლეზე ვერა დგას, რის შედეგადაც მაყურებელთა დასწრება მცირეა და თეატრების შემოსავლიანობის გეგმები არ სრულდება.

თუმცა კინემატოგრაფიის სამინისტრომ მთლიანად შეასრულა 1951 წლის გეგმა, მაგრამ მხატვრული ფილმების გამოშვება მის პროდუქციაში ძალიან მცირეა. დიდი ჩამორჩენაა კინოსცენარების დამუშავების საქმეში. არ სრულდება მოსახლეობის კინომომსახურების გეგმა, რის შედეგადაც გასულ წელს კინოსაგან შემოსავალს 3 მილიონ 800 ათასი მანეთი დააკლდა.

სოფლის მეურნეობაზე მე ცალკე შევჩერდები, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ხედავთ იმ დიდ მიღწევებთან ერთად, რითაც ხასიათდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურის ყველა უბანი და რაც დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკებისთვისაც, — ჩვენ საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებაც გაგვაჩნია. ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ იმ თვითკმაყოფილებას, იმ პარადულ განწყობილებას, რაც ზოგიერთ ამხანაგს ახასიათებს და ხელებდაკაპიწებული ვიმუშაოთ, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ყველა ნაკლი ჩვენი მეურნეობის ყველა უბანზე.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას კულტურების მრავალფეროვნება ახასიათებს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოჰყავთ უაღრესად ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის.

მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 1951 წელს თითქმის ერთიორად გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს, მათ შორის ხორბლის მოსავალმა—2,7-ჯერ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. 1951 წელს მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 58 ათასი ტონით მეტი ხარისხოვანი ფოთოლი, ვიდრე 1940 წელს. იზრდება სხვა ტექნიკური და სპეციალური კულტურების მოსავლიანობაც. 1951 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა თითქმის ერთიორად მეტი ყურძენი, ვიდრე 1940 წელს. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა: გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 625 ათასი ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, ვიდრე 1950 წელს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დიდი ყინვებისაგან დაზიანებული ციტრუსოვანი პლანტაციების აღდგენა. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში ციტრუსოვანი კულტურების რამდენიმე ათასი ჰექტარი ახალი ბაღები გაშენდა.

იზრდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობაც, თუმცა ამ მხრივ 1951 წლის გეგმის შესრულებაში ერთგვარი ჩამორჩენა გვქონდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება უზრუნველყოფილია მძლავრი ტექნიკური ბაზით. 1951 წელს მტს-ების სატრაქტორო პარკი 1940 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა კომბაინთა პარკიც. ყოველ წელს იზრდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზირებულ სამუშაოთა მოცულობა.

დიდ სახსრებს აბანდებს ჩვენი სახელმწიფო საწყაო და საშრობი არხების მშენებლობაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის საერთო გადიდებამ უზრუნველყო კოლმეურნეობათა შეძოსავლის გადიდება და გაზარდა შრომადღეების ანაზღაურება.

სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანი საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი დახმარებისა და ზრუნვის შედეგია. იმ დიდ დახმარებას, რომელსაც უწევს კოლმეურნეობებს საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი, ჩვენი კოლმეურნე გლეხობა პატიოსანი და გმირული შრომით უპასუხებს.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტექნიკური კულტურების სამინისტრო და საბჭოთა ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელნი, სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა საერთო რესპუბლიკური მაჩვენებლებით დამშვიდებულნი, ვერ ხედავდნენ ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების სერიოზულ სამეურნეო ჩამორჩენას. მაგალითად, ბორჯომის, კაჩრეთის, საგარეჯოს, უაზბეგის, თერჯოლის, საჩხერის, ხობის, წალკის, თიანეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე ჯერ კიდევ დაბალია.

ჩვენს რესპუბლიკაში არის რაიონები, რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმებს. ამ რაიონების კოლმეურნეობანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ საერთო მოსავალს იღებენ და ამის გამო კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურება მცირეა. ასეთ ჩამორჩენას რესპუბლიკის მოწინავე რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებშიც შეეხვდებით, რაც არავითარ შემთხვევაში მოსათმენი არ არის.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცუდად მუშაობს ჩამორჩენილი რაიონებისა და კოლმეურნეობების საკითხებზე, არ ხორციელდება დიფერენციირებული მიდგომა და არ მუშავდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი მოწინავეთა დონემდე წამოვწიოთ.

რაიონებთან და კოლმეურნეობებთან სამინისტროს აპარატის კავშირს ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს და საჭირო შედეგებს ვერ იძლევა.

ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად სრულდება დადგენილებანი ხორბლის ნათესების გაფართოებისა და მისი მოსავლიანობის გადიდების შესახებ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საოლქო და რაიონულ საბჭოთა ორგანოებს ყოველთვის ყურადღების ცენტრში უნდა ჰქონდეთ ხორბლის ნათესების გაფართოებისა და მისი მოსავლიანობის გადიდების ამოცანა, მუდმივ კონტროლს და დახმარებას უნდა უწევდნენ კოლმეურნეობებს სათანადო ღონისძიებათა განსახორციელებლად, რათა აუცილებლად უზრუნველყოთ საბჭოთა მთავრობის და ამხანაგ სტალინის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება—საქართველოში ხორბლის წარმოების გადიდება.

ცნობილია, რომ ჩვენი საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სუსტი უბანია საკვები ბაზა. მაგრამ ამის მიუხედავად ამ საკითხს საკმაო ყურადღება არ ექცევა. მთელ რიგ რაიონებში წლითიწლობით არ სრულდება ბალახებისა და სხვა საკვები კულტურების თესვის გეგმები, მათი მოსავლიანობა ძალიან დაბალია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცუდად მუშაობს მდელოებისა და საძოვრების ძირფესვიანად გაუმჯობესების საკითხებზე, რის გამოც მათი გამოყენების ეფექტიანობა მცირდება.

სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხებზე. არსებული საჯიშე ფერმები და სანაშენოები არ წარმოადგენენ სანიმუშო მეურნეობებს და ბაზას, რომელიც ჯიშიანი მასალით მომამარაგებს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევს მებოსტნეობისა და კარტოფილის გახვითარებას, მაშინ როცა საქართველოს ნიადაგისა და ჰაერის პირობები ხელს უწყობს ამ კულტურების, განსაკუთრებით მებოსტნეობის ფართოდ განვითარებას.

სამრეწველო ქალაქებისა და კურორტების საგარეუბნო რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მოჰყავთ ადრეული ბოსტნეული.

გარეუბნის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ქუთაისისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებს ყველა შესაძლებლობა აქვთ ფართოდ განავითარონ მებოსტნეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ ბოსტნეული საჭიროა არა მარტო როგორც კვების აუცილებელი პროდუქტი, იგი ამასთან ერთად კოლმეურნეობებს დიდ შემოსავალსაც აძლევს. სათანადო ყურადღებას არ აქცევს ხეხილის ბაღების მოვლას და ხილის მოსავლიანობის გადიდებას ტექნიკურ კულტურათა სამინისტრო.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და ტექნიკური კულტურების სამინისტროებმა, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი საქართველოს კოლმეურნეობებში **კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის** მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდების საქმეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების საერთო მოსავლის შემდგომი გადიდების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. მაგრამ ზოგიერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ცუდად მუშაობს, იღლევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების აგროტექნიკური ვადები, (უდი ხარისხით სრულდება სამუშაოები, სისტემატური ხასიათი აქვს საკვების დამზადების (თიბვა, დასილოსება) ჩაშლას. ეტიზმეტად ცუდად ხორციელდება მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის ღონისძიებანი, არასრულად იყენებენ ტრაქტორთა პარკს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკმაო ზომებს არ იღებს მტს-ების მუშაობის გასაუმჯობესებლად, სუსტად ნერგავს მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებას მანქანების გამოყენების გასაუმჯობესებლად და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და მყარი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუსტი ხელმძღვანელობა საგაზაფხულო თესვის მომზადებასა და ჩატარების საქმეშიც გამოვლინდა. მიუხედავად ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად ჩამორჩა გასული წლის ტემპებს.

მაგალითად, 1 აპრილისათვის საგაზაფხულო ხვნა შესრულებულია 31,8 პროცენტით, ნაცვლად 1951 წლის 66,2 პროცენტისა; შემოდგომის ნათესების გამოკვება — 45,4 პროცენტით, ნაცვლად გასული წლის 70,1 პროცენტისა; შემოდგომის ნათესების ფარცხვა შესრულებულია 25,9 პროცენტით, გასულ წელს კი ამ ვადისათვის ფარცხვა მთლიანად დამთავრებული იყო. ნაკელი გატანილია მინდვრად გეგმის 28,8 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად 1951 წლის 55,6 პროცენტისა.

ძალიან ნელი ტემპით ვითარდება საგაზაფხულო თესვაც. საგაზაფხულო თესვის გეგმა 1 აპრილისათვის შესრულებულია მხოლოდ 6,5 პროცენტით, მაშინ როცა გასულ წელს დათესილი იყო გეგმის 17,7 პროცენტი.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ნ. ქეცხოველის სიტყვის დასასრული

რათა უახლოეს დღეებში მკვეთრ გარდატეხას მიაღწიონ და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის აუცილებელი და ხარისხოვანი შესრულება.

1952 წელს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა მნიშვნელოვნად გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა. კერძოდ, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გასულ წელთან შედარებით 22 პროცენტით უნდა გავადიდოთ. ძროხის წველადობა უნდა გადიდდეს 56 პროცენტით, მატყლის მიღება 40 პროცენტით.

ამ პროგრამის შესრულება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან და უწინარეს ყოვლისა მინისტრ ამხ. მირიანაშვილისაგან მოითხოვს ორგანიზატორული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას და ადგილებისადმი კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელებას.

ამ რამდენიმე ხნის წინად ამხანაგ სტალინის მითითებით საქართველოში ჩამოყალიბებულ იქნა თბილისის და ქუთაისის ოლქები.

ოლქების ორგანოების ჩამოყალიბებას დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. უფრო ქმედითი გახდება რაიონებისა და კოლმეურნეობებს მიმართ ხელმძღვანელობა.

საოლქო აღმასკომების ორგანოების კადრებით დაკომპლექტება თითქმის დამთავრებულია. მაგრამ ოლქების აღმასკომებმა ჯერ-ჯერობით ვერ დააღწიეს თავი ეგრეთწოდებულ „საორგანიზაციო პერიოდს“. საჭიროა ოლქების აღმასკომები და მათი ორგანოები სერიოზულად ჩაებნენ მუშაობაში, მოკიდონ ხელი ოლქებში შემავალ მეურნეობას და სათავეში ჩაუდგნენ იმ ნაკლოვანების გამოსწორების საქმეს, რომელზედაც ამ სესიაზე იყო ლაპარაკი.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება 1952 წლის 1 აპრილიდან მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე, შემცირების შესახებ.

მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ამ დადგენილებას როგორც მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის სტალინური ზრუნვის გამოხატულებას.

ფართო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდამ, სახელმწიფო საცალო ფასების თანამიმდევრულმა შემცირებამ უზრუნველყო საქონელბრუნვის შემდგომი განუწყვეტელი ზრდა.

მაგრამ ვაჭრობის დარგში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

1952 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის მთელმა რიგმა სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელბრუნვის გეგმები ვერ შეასრულეს. წინასწარი მონაცემებით საქონელბრუნვის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება 96 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით ჩამორჩება სამომხმარებლო კოოპერაცია.

ეს იმითაც აიხსნება, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები არასაკმაოდ მუშაობენ და სათანადო ღონისძიებებს არ იღებენ ქალაქებსა და რაიონებში ვაჭრობის საქმის გასაუმჯობესებლად.

ვაჭრობის სფეროში ჩვენ გაცილებით ნაკლები დეფექტები გვექნებოდა, ვაჭრობის სამინისტრო უკეთესად რომ მუშაობდეს. სამინისტრო ბევრ ისეთ საკითხს იხილავს, რომელზეც უნდა მუშაობდნენ საოლქო, საქალაქო აღმასკომების სავაჭრო განყოფილებანი და ხშირად თვით სავაჭრო ორგანიზაციები.

ამავე დროს სამინისტრო საკმაო ყურადღებას არ აქცევს ვაჭრობის საკვანძო საკითხებს, როგორიც არის: საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების სერიოზული შესწავლა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყაროების სწორი დაგეგმვა, სავაჭრო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო მაჩვენებლების სწორად დაგეგმვა, ვაჭრობის კადრების მომზადება, განაწილება და სხვ.

ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, საბჭოთა ვაჭრობის ყველა მუშაკი სისტემატურად უნდა აუმჯობესებდნენ ვაჭრობას, გვიჩვენებდნენ მშრომელთა მომსახურების საუკეთესო ნიმუშებს.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის შესრულებისა და იმ ხარჯების დროულად გაწევისათვის, რაც დაგეგმილია სესიაზე წარდგენილი ბიუჯეტის გასავლის ნაწილში.

* * *

სახელმწიფო სახსრების უყაირათოდ ხარჯვის ერთ-ერთ სერიოზულ ფორმას წარმოადგენს მშენებლობის გაძვირება და ამასთან დაკავშირებული ზარალი.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია საპროექტო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რაზედაც ილაპარაკა დეპუტატმა რომელაშვილმა, რომელმაც სამართლიანად გააკრიტიკა მათი საქმიანობა. საპროექტო ორგანიზაციები რიგ შემთხვევებში სამშენებლო ობიექტთა პროექტირებას ეწევიან არასაკმაო ეკონომიით, უშვებენ სრულიად უსარგებლო ზედმეტობას ნაგებობებში, კონსტრუქციულ ელემენტებში, გამოსაყენებელ მასალებში და სხვ.

საპროექტო ტრესტმა „საქკომუნპროექტმა“ შეადგინა ქალაქის წყალსადენის პროექტი და წარმოადგინა მისი ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად.

ამ პროექტის გულდასმით განხილვის შემდეგ ხარჯთაღრიცხვა სრულიად უმტკივნეულოდ შემცირებულ იქნა თითქმის ერთი მესამედით.

განხილვის შედეგად აგრეთვე შემცირებულ იქნა ხარჯთაღრიცხვები: ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს სახლისა თბილისში — 5 მილიონ 200 ათასი მანეთით, ქუთაისის აგურის ქარხნისა — 1 მილიონი მანეთით და ზოგიერთი სხვა ობიექტისა.

ჩვენმა საპროექტო ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ დაპროექტების ხარისხი და უზრუნველყონ პროექტების დროულად დამუშავება. საარქიტექტურო სამმართველო მოკლე ვადაში უნდა იხილავდეს წარმოდგენილ პროექტებს.

მშენებლობის გაძვირება დაკავშირებულია სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობასთანაც, რომლებიც, სამწუხაროდ, დიდ გადახარჯვებს უშვებენ.

საკმარისია ითქვას, რომ 1951 წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოებზე ტრესტმა „საქმშენმა“ დაუშვა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაძვირება 5 მილიონი მანეთით, ხოლო ტრესტმა „თბილისმშენმა“ თითქმის 9 მილიონი მანეთით.

რამდენიმე სიტყვა კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კაპიტალური მშენებლობის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები მოწმობს, რომ ზოგიერთ სამინისტროში მუშაობა კაპიტალური მშენებლობის დარგში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული.

კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან: ჯანმრთელობის დაცვის, სატყეო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, აგროქიმიური მრეწველობის, განათლების, წყალთა მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები და მთავარი საგზაო სამმართველო.

ამ სამინისტროების ხელმძღვანელებმა სასწრაფო და გადაუდებელი ზომები უნდა მიიღონ და აპრილში მიაღწიონ ჩამორჩენის ლიკვიდაციას, დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად შესრულებას.

* * *

სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში მიღწეული წარმატებანი უშუალო გამოხატულებას პოულობენ ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ 1952 წლის ბიუჯეტის პროექტი სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანებს. ბიუჯეტი უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებას და იმ დავალებათა შესრულებას, რაც მოცემულია საბჭოთა მთავრობის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ.

წარმოების მოცულობის და საქონელბრუნვის გაფართოება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ამ საფუძველზე საწარმოთა რენტაბელობის ყოველმხრივ გადიდება ბიუჯეტის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

უნდა გავაძლიეროთ სამინისტროებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით, დაზოგვით ხარჯვისათვის.

გასულ წელს ჩვენმა რესპუბლიკურმა და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტროებმა და ორგანიზაციებმა გასწიეს უნაყოფო ხარჯები 12 მილიონი მანეთის რაოდენობით და რეალიზაციის გარეშე დანაკარგები ჰქონდათ 23 მილიონ მანეთზე მეტი.

ამ დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობის ცუდი ორგანიზაციისა და უყაირათობის შედეგია.

უნაყოფო ხარჯებისა და რეალიზაციის გარეშე დანაკარგების უფრო მნიშვნელოვანი თანხები აქვთ: მსუბუქი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის სამინისტროებს.

საჭიროა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ, რათა წელს არ გამეორდეს ზემოაღნიშნული დანახარჯები. მათ მუდმივი ზედამხედველობა უნდა გაუწიონ დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომ მათ არ დაუშვან გაუმართლებელი ხარჯები, უყაირათობით გამოწვეული დანაკარგები, და სასტიკი პასუხი მოსთხოვონ იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფო სახსრებს ანიავებენ.

ბიუჯეტის წარმატებით შესრულების საქმეში დიდი ამოცანები ეკისრებათ საფინანსო ორგანოებს; მათ საგრძნობლად უნდა გააუმჯობესონ საფინანსო მუშაობის ხარისხი და მიაღწიონ მიმდინარე წლის საფინანსო გეგმის მთლიანად და ყველა ნაწილში შესრულებას.

* * *

მე შევეხე ჩვენი მუშაობის ზოგიერთ ნაკლს, რომელიც ამა თუ იმ სახით გაგლენას ახდენს სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობაზე და რომლის გამოსწორება აუცილებელი პირობაა ბიუჯეტის შესრულებისათვის.

ნაკლოვანებათა გამომჟღავნება და მათი დროულად აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით. დაუზოგავად და გაბედულად უნდა ვამხილოთ ყოველგვარი ნაკლი ჩვენს მუშაობაში. პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საწინდარია.

საქართველოს სსრ ბიუჯეტი სსრ კავშირის ბიუჯეტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი სავსებით ითვალისწინებს რესპუბლიკის შემდგომი განვითარების ინტერესებს და შეესაბამება სოციალისტური მშენებლობის იმ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახეს საბჭოთა თავვრობამ, სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა დიდმა ბელადმა და ბრძენმა მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა.

ის დიდი ამოცანები, რომლებიც წარმატებით გადაჭრილ უნდა იქნას 1952 წლის განმავლობაში, მოითხოვენ ყველა ჩვენგანის მუშაობის მაღალ ხარისხს სამეურნეო და კულტურულ საქმიანობის ყოველ უბანზე.

საქართველოს მშრომელები, ჩვენი შრომისმოყვარე მუშები და კოლმეურნე გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია არ დაზოგავენ ძალღონეს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა დიდი მოამაგისა და საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ყველა დავალება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დეკუტატ ბ. ე. ლომაძის სიტყვა

(ქ. ქუთაისის მოლოტოვის სახელობის ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენთვის ცნობილია, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის ოლქები. ოლქების შექმნამ ახალი ფართო პერსპექტივები დასახა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარების საქმეში.

დიდია ქუთაისის ოლქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. ოლქში თავმოყრილია საკავშირო დაქვემდებარების მრავალი საწარმო, რომელნიც უშვებენ მთელი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მაღალხარისხოვან პროდუქციას. საკმარისია ითქვას, რომ ქუთაისის ოლქში წარმოდგენილია მძიმე ინდუსტრიის ისეთი დარგები, როგორიც არის შავი მეტალურგია, მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები.

ქუთაისის ოლქის მრეწველობა უკანასკნელი წლების მანძილზე ყოველწლიურად ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს. მრეწველობის ძირითადი დარგების პროდუქციის ნატურალური გამოშვება 1951 წელს 1950 წლის დონესთან შედარებით გაზრდილია: მარგანეცისა 19,1 პროცენტით, ქვანახშირისა — 5,3 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 7,2 პროცენტით, ფეროშენადნობებისა—20,7 პროცენტით, ლიტოპონისა—31,5 პროცენტით, ქაღალდისა — 34,7 პროცენტით, შალის ქსოვილისა—13,6 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა — 62,4 პროცენტით, პირველადი დამუშავების ჩაისა — 36,6 პროცენტით, კონსერვისა—22,9 პროცენტით და ა. შ.

ქუთაისის ოლქის მრეწველობა იძლევა მთელ რესპუბლიკაში გამოშვებული ქაღალდის 79,4 პროცენტს, აბრეშუმის ნედლეულის 77,7 პროცენტს, კონსერვის 45,4 პროცენტს, პირველადი დამუშავების ჩაის 66,8 პროცენტს, ქვანახშირის 47,1 პროცენტს, შალის ქსოვილის 19,5 პროცენტს და სხვ.

მთელი რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც 1951 წლის აგვისტოში კონვეიერიდან ჩამოუშვა ოთხტონიანი საბარგო ავტომანქანა „ზის-150“. მომდინარე წლის მეორე კვარტალში ქარხანა გამოუშვებს თვითდასაცლელ „კაზ-585“ მარკის ავტომანქანას. ქუთაისის სამთო-მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი“ ამზადებს ახალი ტიპის მანქანებს და მოწყობილობას ქვანახშირის მრეწველობისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავთ ჭიათურის მარგანეცის ტრესტსა და ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანას. ამ უკანასკნელ პერიოდში ოლქის მრეწველობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კვების მრეწველობის საწარმოები, კერძოდ, ჩაის მრეწველობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული 61 ჩაის ფაბრიკიდან 41 ქუთაისის ოლქშია.

ოლქის მრეწველობაში ფართო ადგილი უჭირავს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებსაც. მეტ წილ რაიონებში ჩვენ უკვე გვაქვს ადგილობრივი მრეწველობის რომელიმე სახის საწარმოები, სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ ვერ ასრულებს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმებს. 1951 წელს პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს ჩხოროწყუს, ქვემო სვანეთის, ზემო სვანეთის, ზუგდიდის, თერჯოლის, ტყიბულის, ცაგერის, წულუკიძის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

ოლქის ბუნებრივი რესურსები ადგილობრივი მრეწველობის გაფართოებისათვის ჯერ გამოუყენებელია. ამასთან ზოგიერთი საწარმოს პროდუქციის ხარისხი დაბალია, ნაწარმი უსტანდარტოა, ხოლო ზოგიერთ საწარმოში არათუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო მათ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს.

გასულ წელს სერიოზული სამუშაოები შესრულდა ოლქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით, რის შედეგადაც ამაღლდა მშრომელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე.

ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის და მშენებლობისათვის წელს კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია 14.830.000 მანეთის რაოდენობით, აქედან ოლქის ცენტრის — ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობასა და მშენებლობებზე დაიხარჯება 13.310 ათასი მანეთი.

ქუთაისის ოლქში 1951 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა. ოლქის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას, რომელიც გაშენებულია 36.895 ჰექტარ ფართობზე. გასულ წელს ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 62.600 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც საქართველოს სს რესპუბლიკაში მოკრეფილი ჩაის ფოთლის 67,1 პროცენტს შეადგენს. წელს ოლქის კოლმეურნეობებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 67.800 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამავე დროს ჩაის ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს 3.340 ჰექტარზე.

მკვეთრად უნდა გავადიდოთ ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. ამ დარგში ოლქის კოლმეურნეობებში არსებული რეზერვები დიდია. მოსავლიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩაის კულტურის დარგში მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და დანერგვა, მეცნიერების მიღწევების თანრთოდ და გაბედულად გადატანა წარმოებაში, რაც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ოლქის კოლმეურნეობებში.

ჩაის კულტურის მოსავლიანობის ზრდის საქმეში მეტი დახმარება უნდა გაგვიწიოს საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრომ. მომდინარე წელს ტექნიკური კულტურებისათვის გათვალისწინებული 46.647 ტონა აზოტოვანი სასუქის ნაცვლად შემოზიდულია 20.031 ტონა. ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შესატანად ოლქის კოლმეურნეობებს აკლიათ 2.000 ტონაზე მეტი სასუქი. მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, სამინისტრომ დღემდე ვერ უზრუნველყო სასუქების საკმაო რაოდენობით შემოზიდვა.

ქუთაისის ოლქში მნიშვნელოვნად არის განვითარებული ციტრუსოვანი კულტურები. ამჟამად ციტრუსოვანებს უკავია 2.688 ჰექტარი ფართობი. 1955 წლის ბოლოსათვის ქუთაისის ოლქში ციტრუსოვანთა ფართობი აყვანილ უნდა იქნას 9.870 ჰექტარამდე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მძლავრი სანერგეები გვაქვს, რაც ქმნის ციტრუსების გაშენების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების პირობას.

ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას და მეხილეობას. საქართველოს ვენახების 50 პროცენტი ქუთაისის ოლქშია, მაგრამ ოლქის კოლმეურნეობებში ვენახებისა და ხეხილის მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ამ კულტურების ფართობების ზრდასთან ერთად უნდა უზრუნველვყოთ მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება.

ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეაბრეშუმეობას. მომდინარე წელს საქართველოს რესპუბლიკაში პარკის დამზადების გეგმის 73,4 პროცენტი ქუთაისის ოლქმა უნდა დაამზადოს. ჩვენ გავითვალისწინებთ გასულ წლებში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და უზრუნველვყოფთ მომდინარე წლის პარკის დამზადების გეგმის შესრულებას.

წელს ქუთაისის ოლქში მარცვლეული კულტურების ფართობი 1951 წელთან შედარებით 10.000 ჰექტარით იზრდება: უნდა დაითესოს 190.825 ჰექტარი. ჩვენ სერიოზული ღონისძიებების გატარება დაგვჭირდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმების შესრულებისათვის, რაც ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებში ესოდენ ჩამორჩენილია.

1951 წელს ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების სულადობის სახელმწიფო გეგმა. მაგრამ ზოგიერთი რაიონში გეგმა შესრულდა პირუტყვის შესყიდვის გზით და არა საკუთარი ნამატის ხარჯზე. წლიდან წლამდე არ სრულდება პროდუქტიულობის გეგმები. საჭიროა სერიოზული ღონისძიებების განხორციელება პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ზრდასა და განვითარებასთან ერთად გაიზარდა ჩვენი ოლქის საქონელბრუნვის გეგმა. სამწუხაროდ, ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობის შედეგად აღნიშნული გეგმა არ არის შესრულებული. საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩა „ცეკავშირის“ სისტემა, რომელმაც მიმდინარე წლის გეგმა 30 მარტისათვის შეასრულა 69 პროცენტით. ცეკავშირის სისტემის მიერ საქონელბრუნვის გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ის, რომ სავაჭრო ქსელში დაცული არ არის საქონლის სავალდებულო საასორტიმენტო მინიმუმი, არ ხდება საქონლის ფონდების მანევრირება და მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა. სავაჭრო ორგანიზაციებში არის ზენორმატიული ნაშთები.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ უკანასკნელ პერიოდში საოლქო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ოლქის ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში გამოვლინდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების ფაქტები. საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილებაში გამოვლინებულ იქნა 1.400.000 მანეთის საქონლის გაფლანგვა, ცაგერის რაიკოოპკავშირში — 1.000.000 მანეთზე მეტისა, აბრეშაურის რაიკოოპკავშირში — 900.000 მანეთამდე, საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილებაში—150 ათასი მანეთი. გაფლანგვის და დატაცების ასეთი ხშირი შემთხვევები იმას ადასტურებს, რომ ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დაკარგეს ბოლშევიკური სიფხიზლე, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კადრების შერჩევის საქმეს.

საჭიროა, ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა რუხაძემ და საქვაჭრობის დირექტორმა ამხ. ბეგიშვილმა სათანადო დასკვნები გაუკეთონ არსებულ მდგომარეობას, გააძლიერონ კონტროლი სავაჭრო ქსელის მუშაობისადმი და გადაჭრით გაუმჯობესონ ქალაქ ქუთაისში ამჟამად არსებული სავაჭრო ქსელის კეთილმოწყობის საქმე და კიდევ უფრო გაფართოონ იგი ახალი მაღაზიების გახსნით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასთან ერთად შეუნერებლად ვითარდება ოლქის კულტურული ცხოვრებაც, უმჯობესდება სასწავლო-საამბრდელო დაწესებულებათა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციათა მუშაობა.

ქუთაისის ოლქში დღემდე ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციას წარმოადგენდა ტრესტ „საქმშენის“ ქუთაისის განყოფილება. მაგრამ ტრესტის ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის შედეგად სამშენებლო სამუშაოები ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ზოგიერთ ობიექტზე მუშაობა საეს ებით იშლებოდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ტრესტ „საქმშენის“ ქუთაისისა და წყალტუბოს კანტორები ლიკვიდირებულია. ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომთან ჩამოყალიბდა სამშენებლო ტრესტი „ქუთაისმშენი“. „ქუთაისმშენის“ შექმნა ხელს შეუწყობს მშენებლობის გაუმჯობესებას.

ოლქის 1952 წლის ბიუჯეტი განსაზღვრება 460.156.000 მანეთით, იგი შეესაბამება იმ ამოცანებს, რაც დასახულია ჩვენი ოლქის წინაშე მიმდინარე წელს.

რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომლის პროექტი წარმოდგენილია სესიის დასამტკიცებლად, სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის უფრო გაძლიერებას და აყვავებას, ხელს შეუწყობს საქართველოს მშრომელთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამიტომ მე მხარს ვუჭერ წინადადებას მისი დამტკიცების შესახებ.

ქუთაისის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებენ 1952 წლის გეგმას და უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის ბიუჯეტის განაღდებას.

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, კომუნისტური საზოგადოების დიდ ხუროთმოძღვარს, მშვიდობის მეფრიოს დიდ სტალინს! **(ტაში).**

დეკუტატ ა. ე. მელაძის სიტყვა

(ქ. თბილისის საქარხნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, ჩვენი რესპუბლიკის სხვა მშრომელებთან ერთად, თავდადებით იბრძვის გეგმის ყველა მაჩვენებლის წარმატებით შესრულებისათვის. 1951 წელს საერთო პროდუქციის გეგმა ქარხანამ შეასრულა 102,2 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გეგმა 104,8 პროცენტით. ამავე დროს ქარხანამ 1950 წელთან შედარებით გასულ წელს პროდუქციის გამოშვება გაზარდა 30 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 17,2 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირა 10 პროცენტით. პროდუქციის გამომუშავების ზრდის ტემპები კვარტალში შეადგენდა საშუალოდ 7-8 პროცენტს, რაც გაცილებით მეტია გასულ წლებთან შედარებით.

ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, ლითონის ჩქაროსნული დამუშავებისათვის, მასალების დაზოგვისათვის და სხვ.

ქარხანამ აითვისა 8 ახალი ორიგინალური, სპეციალური დაზგის მოდელები მილების დასამუშავებლად, გატარდა 9 წინათ ათვისებული სპეციალური დაზგის მოდელების მოდერნიზაცია. 1951 წელს დამთავრდა მუშაობა დაზგა მოდელი 1 Д 63 А ნაკადურ წარმოებაზე გადაყვანისათვის, რითაც ამ დაზგების გამოშვება 31 პროცენტით გადიდდა.

გაწეულია მუშაობა შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. ზედნადები ხარჯების ხვედრითი წონა საერთო პროდუქციის 1.000 მანეთზე 1951 წელს, 1950 წელთან შედარებით, 16 პროცენტით შემცირდა.

1951 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1.202 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და დაწყებულია ახალი ექვსსართულიანი (52-ბინიანი) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ქარხანას აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები წუნის გამო, რაც გამოშვებული საერთო პროდუქციის ღირებულების 0,92 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებანი (მოეწყო ახალი სასადილო, აბანო, კლუბი, საერთო საცხოვრებლები და სხვა), ქარხანაში მუშახელის დენადობაა.

ქარხანამ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გამოიყენა უკანასკნელ წლებში მიღებული ახალი ტექნიკა, დიდია დაზგა-დანადგარების მოცდენა სხვადასხვა მიზეზით.

ქარხნის კოლექტივმა სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებები, რათა წარმატებით შეასრულოს 1952 წლის საგრძნობლად გადიდებული გეგმა.

საერთო პროდუქციის გამოშვების 1952 წლის პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ შეასრულა 107,2 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა — 109,6 პროცენტით.

ეს მიღწევები პირველ რიგში შედეგია ჩვენი ქარხნის მოწინავე ადამიანების—სტახანოველების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ერთგული და თავდადებული მუშაობისა. რესპუბლიკაში ცნობილი არიან ჩვენი ქარხნის სტახანოველები ბენდიანიშვილი, ფირცხალავა, ჩიტაიშვილი, ზუბრიცკი, ვდოვინა, აგაჯანოვი და სხვ. მათ გვერდით იზრდებიან აგრეთვე ახალი სტახანოველები, სახელოსნო სასწავლებლებიდან მოსულნი—ბაქრაძე, ხუციშვილი, ბუხრიკიძე, ჟუკოვი, ალავერდაშვილი და სხვები.

წელს ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა მივაღწიოთ საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას, რაც გასულ წლებში თითქმის სისტემატურად არ სრულდებოდა და აფერხებდა მუშათა კადრების დაკომპლექტებასა და შენარჩუნებას.

წელს ქარხანამ უნდა ააგოს ორი ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი, დაიწყოს მშენებლობა ახალი სახელოსნო სასწავლებლისა 400 მოწაფისათვის და უნდა აითვისოს ერთი მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის უდიდეს წარმატებათა ახალი გამოხატულებაა. იგი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. ამიტომ შემომაქვს წინადადება, რომ დამტკიცდეს 1952 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტი.

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(ტაში).**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). 4 აპრილს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის № 1 სამუშაო კომიტეტის პირველი სხდომა. ამ კომიტეტმა უნდა განიხილოს ბუნდოვანად ჩამოყალიბებული საკითხი „ყველა სახეობის შეიარაღებისა და მთელი შეიარაღებული ძალების რეგულირების“ შესახებ, რაც ამოღებულია კომისიის მუშაობის ფარანგული გეგმიდან.

კომიტეტის განსახილველად წარდგენილია სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც მან შეიტანა გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე და რომლებიც ითვალისწინებენ ატომური იარაღის უთუო აკრძალვას და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას.

საფრანგეთის დელეგატმა მოკმა თავის ვრცელ სიტყვაში გაიმეორა წინანდელი განცხადებანი, ყოველნაირად ცდილობდა „დამტკიცებინა“ საბჭოთა წინადადებების მიუღებლობა და მთელი თავისი სიტყვა არსებითად გადააქცია შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვების თაობაზე ამერიკის წინადადებათა დაცვად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კოენი დაკმაყოფილდა საერთო ხასიათის განცხადებით და გაიმეორა განიარაღების კომისიაში 14 მარტს თავისი პირველი განცხადების ძირითადი დებულებანი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგატების სიტყვები და აღნიშნა: ეს განცხადებანი იმას მოწმობენ, რომ შეერთებულ შტატებსა და მათს მხარდამჭერ ქვეყნებს სურთ სამუშაო კომიტეტს მთავარი ამოცანადან — ატომური იარაღის აკრძალვიდან და შეიარაღების შემცირებიდან — გადაახვევინონ შეიარაღების თაობაზე ცნობების შეგროვების შესახებ უნაყოფო დისკუსიის გზაზე.

თუ ამ დელეგაციებს, თქვა ი. ა. მალიკმა, მართლაც აქვთ სერიოზული განზრახვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია არ გადააქცინონ ცნობათა შეგროვების კომისიად, მაშინ სასურველი იქნებოდა გაგვეგო ამ დელეგაციების განზრახვა: კონკრეტულად რას გვთავაზობენ ისინი განიარაღების კომისიის წინაშე მდგომი ისეთი მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიც არის ატომური იარაღის აკრძალვა და შეიარაღების შემცირება. ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე მათ არავითარი წინადადება არ შემოაქვთ, მოწმობს იმას, რომ ისინი მზად არ არიან და არა სურთ იმუშაონ ამ საკითხზე, არამედ ამჯობინებენ დაიწყონ აბსტრაქტული მსჯელობა „შეიარაღების შემცირების ხელსაყრელობასა და სიძნელეებზე“ და დაენებინო მოითხოვონ ცნობების შეგროვება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ნაცვლად.

ამასთან დაკავშირებით მე საფრანგეთისა და ამერიკის დელეგატებს ვაძლევ კითხვას: კონკრეტულად რას გვთავაზობენ ისინი განიარაღების კომისიის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანის — ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების ამოცანის გადასაჭრელად?

თუ ისინი შემოიტანენ კონკრეტულ წინადადებებს, მაშინ აზრი ექნება ამ წინადადებათა გამო დისკუსიის დაწყებას. დღეისათვის კი კომისიაშია მხოლოდ საბჭოთა კონკრეტული წინადადებანი და სსრ კავშირის დელეგაციას, რომელიც მათს განხილვას მოითხოვს, სურს მოისმინოს კომისიის წევრთა აზრი ამ წინადადებათა შესახებ.

ამასთან ერთად, განაგრძო ი. ა. მალიკმა, საკმაოდ ცხადია, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხის არავითარ სერიოზულ გადაწყვეტაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს აქვთ ესოდენ მტკიცე განზრახვა ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების მთელი საქმე და კომისიის მთელი მუშაობა ამოწურონ შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვებით. ეს იქნება უშინაარსო და უსარგებლო ლაპარაკი. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ცნობების შეგროვების მეორეხარისხოვანი საკითხით შეიცვალოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების მთავარი საკითხი, გამოინახოს რაიმე საბაბი იმისათვის, რომ ჩაიუშვოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საქმე.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დაინებულ უარს — მიეღოთ საბჭოთა წინადადებანი და განეხილათ ის ახალი წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე შეიტანა — არ შეეძლო არ გამოეწვია ასამბლეის ბევრი დელეგაციის უკმაყოფილება და შეშფოთება.

მთელი რიგი პატარა ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებმა ცხადყვეს, რომ ამ ქვეყნებს არა სწამთ სამი სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად თავსმოხვეული ფიქციური რეზოლუცია, რომელიც არ შეიცავს არავითარ წინადადებას ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ბევრმა დელეგაციამ პირდაპირ განაცხადა, რომ წარმატება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საქმეში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანხმობის ბაზაზე.

საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა ი. ა. მალიკმა, მტკიცედ დგას თავის პრინციპულ პოზიციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობის საკითხში. კომისიამ მუშაობა უნდა დაიწყოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებით და არ ჩაებას შეიარაღების თაობაზე ცნობების წარმოდგენის საკითხის უნაყოფო განხილვაში, ამ მეორეხარისხოვანი საკითხით არ შეცვალოს კომისიის წინაშე მდგომი ძირითადი და მთავარი საკითხები. კომისიის სამუშაო კომიტეტმა უნდა წარმოადგინოს უწინარეს ყოვლისა წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხზე, რაც მალე იზამს ამას, მით უფრო მალე გადაწყდება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების წარმოდგენის პრობლემა.

ი. ა. მალიკმა გაიხსენა, რომ გენერალურმა ასამბლეამ კომისიას განსახილველად გადასცა საბჭოთა წინადადებანი, და აღნიშნა: საბჭოთა წინადადებანი იმას ემყარებიან, რომ განიარაღების კომისიამ უწინარეს ყოვლისა **უნდა შეიმუშაოს** რეკომენდაციები ატომური იარაღის აკრძალვისა და ასეთი აკრძალვის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილებანი დაუყოვნებლივ მიღების თაობაზე. ჩვენი წინადადებანი, განაცხადა მალიკმა, ითვალისწინებენ ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღის უთუო აკრძალვას. ჩვენ მოვითხოვთ დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი.

ჩვენ გვისაყვედურებდნენ, თითქოს წინადადებას ვიძლევით განხორციელდეს კონტროლი მხოლოდ იმ საწარმოთა პერიოდული ინსპექტირების გზით, რომლებიც ეწევიან ატომის ნედლეულის მოპოვებას და ამზადებენ ატომის ენერგიას, და სპეციალური გამოკვლევის გზით იმ შემთხვევაში, თუ დაიბადა ეჭვი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციების დარღვევაში. ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლება ექნეს ინსპექცია განახორციელოს მუდმივ საფუძველზე ისე, რომ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არ ექნეს.

საერთაშორისო ურთიერთობის გამოცდილებამ ომისშემდგომ წლებში ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მიზანია მაქსიმალური ჩარევა არა მარტო კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების საშინაო საქმეებში, არამედ ჩარევა იმ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებშიც, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებელი არიან. ამერიკის წარმომადგენლები და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აშკარად აპირებენ იგივე „პრინციპი“ დაუდონ საფუძვლად საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს.

ჩვენ ასეთი „პრინციპის“ წინააღმდეგი ვართ. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ჰქონდეს უფლება ინსპექცია განახორციელოს მუდმივ საფუძველზე, მაგრამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში არ ერეოდეს. ეს მეტად ნათელი და მკაფიო ფორმულირებაა. საბჭოთა ამ ახალ წინადადებაზე პასუხი დღემდე არ მოუციათ წინანდელი საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგეებს. ჩვენი წინადადებების მოწინააღმდეგეებმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, არა მარტო უარი თქვეს მიეღოთ ჩვენი წინადადებანი გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე, არამედ უარიც კი თქვეს მათს განხილვაზე განიარაღების კომისიაში მათი გადაცემის საბაბით. ახლა აქაც, კომისიაში, ჩვენ მოველით პასუხს ჩვენი ახალი წინადადების შესახებ და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლისაგან.

მოვითხოვთ რა ატომური იარაღის აკრძალვას და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მტკიცე კონტროლის დაწესებას, ამასთან ერთად წინადადებას ვიძლევით, რომ ატომური იარაღის აკრძალვა და საერთაშორისო კონტროლი ერთსა და იმავე დროს ამოქმედდეს.

თუ განიარაღების კომისიას და ამ კომისიის წევრ სახელმწიფოებს მართლაც სერიოზულად სურთ გადაჭრან საკითხი ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, მაშინ კომისია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ საკითხების განხილვას. კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხებზე მოთავსებულია საბჭოთა იმ წინადადებებში, რომლებიც გენერალური ასამბლეის მე-6. სესიამ კომისიას გადასცა განსახილველად. საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა პირველი სამუშაო კომიტეტის მუშაობა დაწყებულ იქნას ამ წინადადებათა განხილვით.

მოითხოვს რა ამ წინადადებათა განხილვას, განაცხადა მალიკმა, საბჭოთა კავშირის დელეგაციას ამავე დროს შემოაქვს წინადადება, რომ სამუშაო კომიტეტმა განიხილოს ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შეუწყნარებლობისა და პასუხისგებაში ყველა ამ პირის მიცემის საკითხი, ვინც ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვას არღვევს. ზოგიერთი დელეგატი აქ გამოვიდა ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევაში კონკრეტულ დამნაშავეთა საკითხის განხილვის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოსაზრებანი ოდნავაც არ ართმევენ კომისიას უფლებასა და კომპეტენციას — განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შეუწყნარებლობისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის დარღვევათა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საბჭოთა კავშირის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ ეს საკითხი განიხილოს პირველმა სამუშაო კომიტეტმა და რომ კომიტეტმა თავისი წინადადებანი ამ საკითხზე განსახილველად წარუდგინოს კომისიას.

№ 1 კომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 აპრილს.

ამერიკის ახალი ჯარების ჩასვლა საფრანგეთში

პარიზი, 8 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „პარი პრეს-ენტრანსიჟანი“ იუწყება, რომ ნავსადგურ ლა-როშელში ჩამოვიდა ამერიკის ტრანსპორტი „გენერალ ბლეტჩფორდი“, რომელზეც არიან საფრანგეთში არსებული ამერიკის ბაზებში სამსახურისათვის განკუთვნილი ჯარები.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტის ყველა უბანზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის ავიაციამ და საზენიტო არტილერიის ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი. გუშინ ღამით საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულ იქნა მტრის ღამის ბომბდამშენი „B-26“.

ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამომკვლევი ჩინეთის კომისიის წევრთა ჯგუფი კორეაში

ფხენიანი, 8 აპრილი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 26 მარტს კორეაში ჩამოვიდა ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამომკვლევი ჩინეთის კომისიის წევრთა ჯგუფი. ჯგუფს სათავეში უდგას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ქ-ნი ლი დე-ციუანი.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს კომისიის წევრებმა მოიარეს ზურგისა და ფრონტისპირა რაიონები, სადაც გაეცნენ ამერიკელ ინტერვენტთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტებს. კომისიის წევრები ესაუბრნენ ამერიკელ იმპერიალისტთა საზარელი დანაშაულის მნახველებს.

ფრონტისპირა რაიონების მოვლის შემდეგ კომისია ფხენიანს ჩამოვიდა. მოხდა კომისიის წევრთა შეხვედრა ამერიკელ ინტერვენტთა მიერ ფხენიანის მოსახლეობის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების მოწმეებთან. შეხვედრას დაესწრნენ კომისიის წევრები, კორეის, ჩინეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ფხენიანის საქალაქო საავადმყოფოს ექიმის კიმ მან ჯუნის, სანიტარი ქალის კვან ჯონ ხის ჩვენება, აგრეთვე ჩვენება მოწმის ცოი დუ სენისა, რომელმაც ნახა ფხენიანში ამერიკელ ინტერვენტთა მიერ ჩამოგდებული ბაქტერიოლოგიური ბომბი.

მოწმეთა გამოკითხვის დამთავრების შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ლი დე-ციუანმა, რომელმაც განაცხადა:

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენ შევაგროვეთ მრავალი სარწმუნო ფაქტი, რომლებიც ამტკიცებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებას. ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე ვამხილეთ ბოროტმოქმედნანი ამერიკელი იმპერიალისტებისა, რომლებიც კორეაში ყრიან მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნეულებულ მწერებს. დარწმუნებული ვარ, რომ ბაქტერიოლოგიური ომი, რასაც ამერიკელი ინტერვენტები ეწევიან, ვერ დაიჩოქებს კორეელ ხალხს, რომელიც თავდადებულ ბრძოლას ეწევა ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ კორეის მოსახლეობა მოსპონ შავი ჭირის, ტიფის, ხოლერისა და სხვა ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელებით.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადასცა:

დღეს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც მხოლოდ 3 წუთს გაგრძელდა, არავითარი პროგრესი არ ყოფილა მიღწეული.

კორეაში შეპყრობილ ამერიკის მზვერავთა ჩვენება

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). 5 აპრილს სინხუას სააგენტომ გადასცა ჩრდილოეთ კორეაში შეპყრობილ ამერიკის მზვერავთა ჩვენება. ამერიკის სპეციალურმა აგენტებმა, რომლებიც ჩრდილოეთ კორეაში შეგზავნეს და რომლებიც შემდეგ ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა შეიპყრეს, თავიანთი განცხადებით დაადასტურეს ის ფაქტები, რომ ამერიკელი აგრესორები მხეცურად ეპყრობიან ტყვედ წაყვანილ ჩინელ სახალხო მოხალისეებს კუნძულ კოჯედოზე.

ლი სინ-შუნმა და სხვა აგენტებმა განაცხადეს, რომ ბანაკი № 72 და სხვა ადგილები, სადაც არიან ტყვედ წაყვანილი ჩინელი სახალხო მოხალისენი, ცნობილია, როგორც ნამდვილი ჯოჯოხეთი.

სანამ ჩინელ სამხედრო ტყვეებს ბანაკებში მოათავსებდნენ, ისინი დაკითხეს და აწამეს. მათ პირადი ნივთები ჩამოართვეს და ტანსაცმოსის ნაცვლად ჩვრები მისცეს. საშინელი შიმშილისა და ცემის შედეგად ბევრი სამხედრო ტყვე ავად გახდა და მათ სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს.

ლი სინ-შუნმა განაცხადა, რომ № 86 ბანაკში გასული წლის 10 ოქტომბერს მოკლეს და დაჭრეს 80-ზე მეტი ჩინელი მებრძოლი, როცა მათ უარი თქვეს აღემართათ გომინდანელთა „ეროვნული ალმი“.

ამერიკელების მიერ შეგზავნილმა მეორე აგენტმა განაცხადა, რომ ჩინელ სამხედრო ტყვეებს მხოლოდ ნახევარ ფინჯან ბრინჯს აძლევენ. სამხედრო ტყვეებს ჯოხით სცემენ ოდნავი „ურჩობისათვის“, ხოლო „წესების სერიოზულ დამღვევთ“ კლავენ. ერთხელ № 72 ბანაკში 20-ზე მეტი ჩინელი სამხედრო ტყვე მოკლეს და დაჭრეს მარტო იმისათვის, რომ ისინი უჩოდნენ ცუდ კვებას.

ამერიკის სხვა აგენტმა აღიარა, რომ მან პირადად მოკლა № 72 ბანაკში ორი ჩინელი სამხედრო ტყვე. მან თქვა, რომ კუნძულ კოჯედოს დასავლეთ ნაწილში მოკლულ იქნა 400-ზე მეტი ჩინელი სახალხო მოხალისე. მათ საფლავებზე გაკეთეს წარწერა „ჩინელი სამხედრო ტყვე“.

საერთაშორისო ეკონომიკურ თათბირზე

5 აპრილს საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.

თათბირის მუშაობაში მონაწილე საბჭოთა წარმომადგენლების სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ბ. ვ. ნესტეროვმა.

მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გაუარესება, რაც უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში მოხდა, იწვევს სამშვიდობო წარმოების შეკვეცას და უარყოფით გავლენას ახდენს ბევრი ქვეყნის ხალხთა ცხოვრების პირობებზე. ქვეყნებს შორის ნორმალური სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა და გაფართოება ხელს შეუწყობდა ბევრ ქვეყანაში საქმის გაუმჯობესებას, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებას. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საქმეში და ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ორატორმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შემცირებამ, რაც ზოგიერთ ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე აღინიშნებოდა, ხელი ვერ შეუშალა სსრ კავშირის სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას და მისი სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას.

ნესტეროვი შეეხო სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივებს და თქვა, რომ სავაჭრო პალატამ ამ საკითხზე შეადგინა საქონლის ცნობები. საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს დასავლეთ ევროპის, ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, შუა აღმოსავლეთის, აფრიკისა და ავსტრალიის ქვეყნებში შეუძლიათ შეიძინონ ამ ქვეყნების ჩვეულებრივი საექსპორტო საქონელი და ამ ქვეყნებში გაყიდონ საბჭოთა წარმოების ის საქონელი, რაც ამ ქვეყნებს აინტერესებს, ისეთი რაოდენობით, რითაც სსრ კავშირის საერთო საქონელბრუნვა აღნიშნულ ქვეყნებთან უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში შეადგენს 30-40 მილიარდ მანეთს ანუ 10-და 15-და მილიარდ მანეთს წელიწადში ომისშემდგომ მაქსიმალურ ბრუნვასთან — დაახლოებით 5 მილიარდ მანეთთან შედარებით, რაც მიღწეულ იქნა 1948 წელს.

ამხ. ნესტეროვმა კრიტიკულად მოიხსენია თათბირის მონაწილის B-ნ შახნერის (აესტრია) მალთუსიანური გამოსვლა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ შახნერს, თქვა მან, რომ პატარა ქვეყნები დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში არიან. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გამოგვეჩინა ფატალიზმი ან დავურდნობოდით ისეთ თეორიებს, რომლებიც გამსჭვალული არიან მალთუსიანური პესიმიზმით და სავალალო უპერსპექტივობით. ჩვენ ამ თათბირზე არ შევიკრიბეთ მოდით, თუ გვეფიქრა, რომ არ არსებობს ახლანდელი საძნელო მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები.

ნესტეროვი შეეხო B-ნ ვიკერის გამოსვლას და თქვა:

აქ გამოსული ამერიკელი B-ნი ვიკერი ცდილობდა დაეცვა ქვეყნების თავისუფალი ვაჭრობა. ცხადია, იგი არ არის დაინტერესებული დისკრიმინაციის პოლიტიკით. მისმა სიტყვამ ყურადღება მიიპყრო. მე უნდა აღვნიშნო B-ნ ვიკერის ცდა.

ნესტეროვმა ილაპარაკა ინგლისთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, ჰოლანდიასთან, ბელგიასთან, ფინეთთან, დასავლეთ გერმანიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე ლათინური ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იაპონიასთან და სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გადიდების შესაძლებლობაზე და განაცხადა, რომ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის აღდგენისა და გაფართოებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმაზე ხელის აღება.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, თქვა მან, ისეთ შეუწყნარებელ ფაქტებზე, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთისათვის სავაჭრო ბლოკადის გამოცხადება, რაც აგრესიული პოლიტიკის უაზრო გამოვლინებას წარმოადგენს.

ჩვენი სავაჭრო პოლიტიკა, განაცხადა მან დასასრულ, შეეფერება საბჭოთა სახელმწიფოს არსს. ამასთან დაკავშირებით მან გაიხსენა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ი. ბ. სტალინის შემდეგი სიტყვები: „ვისაც სურს მშვიდობა და ცდილობს ჩვენთან დაიკავოს საქმიანი ურთიერთობა, ის ყოველთვის ჰპოვებს ჩვენში მხარდაჭერას“.

პოსეინ დარიუში (ირანი) ლაპარაკობს ირანის ეკონომიკის ძნელი მდგომარეობის მიზეზებზე და აღნიშნავს, რომ წარსულში ირანის ეროვნული რესურსების გამოყენებას დაბრკოლებას უქმნიდნენ და ბოჭავდნენ ირანის განვითარებას.

— რაც შეეხება ირანის ახლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, — თქვა მან, — დასაკვეხნი არაფერი მაქვს. ერთადერთი რამ, რასაც ჩვენ ვითხოვთ, არის ეკონომიური თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

შემდეგ გამოვიდა ლორდი **ბოიდ-ორი** (ინგლისი). აღნიშნა რა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა დაკარგა თავისი კაპიტალდაბანდებანი საზღვარგარეთ და ღარიბი ქვეყანა გახდა, ორატორმა თქვა, რომ ინგლისს ამჟამად სურსათი აკლია.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ შეუძლებელია სიღარიბის ლიკვიდაცია, თუ საერთაშორისო ვაჭრობა არ განვითარდა. ყოველ ქვეყანას, თქვა მან, მათ შორის ინგლისსაც, ესაჭიროება საერთაშორისო ვაჭრობა. ჩვენ ჯერ კიდევ შეგვაქვს ჩვენი სურსათის 60 პროცენტი, აგრეთვე ნედლეული. ჩვენ უნდა მოვნახოთ გასაღების ბაზრები.

ბოიდ-ორმა აზრი გამოთქვა საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვათა გაუქმების სასარგებლოდ.

80 მილიონი მშრომელის სახელით, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ლუი საიანმა.**

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაციის დავალებით ლუი საიანს წინადადება შეაქვს, რომ თათბირის მიერ მიღებული რეკომენდაციები ემყარებოდეს შემდეგ პუნქტებს:

1. პოლიტიკური დისკრიმინაციის პრაქტიკის ლიკვიდაცია და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზაზე დაბარკოლებათა აღმოფხვრა.

2. წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარების გეგმების შემუშავება ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

3. საომარი ხარჯების შემცირება და ამრიგად განთავისუფლებული სახსრების ხარჯვა სოციალური, კულტურული და სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც განკუთვნილია ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

4. მომზადება რეკომენდაციებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოსათვის, რათა იგი მომქმედებდეს სავაჭრო ურთიერთობისა და ცხოვრების დონის ამაღლების განვითარების მიმართულებით.

ტრიბუნაზეა **გიან ჩანდი** (ინდოეთი). იგი აღნიშნავს, რომ ინდოეთი ჯერ კიდევ დიდად იტანჯება ხანგრძლივი ეკონომიური დამოკიდებულების შედეგებით. მას ესაჭიროება ეკონომიკაში კოლონიური სტატუსის სრული ლიკვიდაცია, იგი დაინტერესებულია ნამდვილ თანამშრომლობაზე დამყარებული საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით. ინდოეთს ესაჭიროება კაპიტალური მოწყობილობის იმპორტი. ამ ამოცანების გადასაჭრელად მან უნდა მოაწესრიგოს ახალი სავაჭრო ურთიერთობა. ინდოეთი ხალისით მიიღებს ყოველგვარ წინადადებას სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ ისეთი ქვეყნებისაგან, როგორიც არიან სსრ კავშირი ან ჩეხოსლოვაკია, რომლებთანაც ინდოეთს ამჟამად შეზღუდული ვაჭრობა აქვს.

ინდოეთის ვაჭრობის ახლანდელი მიმართულებისა და სტრუქტურის გამო, ამბობს გიან ჩანდი, ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა მეტად არაყოფნია. ექსპორტისა და იმპორტის მხრივ ჩვენ ძირითადად დამოკიდებული ვართ სტერლინგის ბლოკის ქვეყნებზე, უმთავრესად შეერთებულ სამეფოზე, აგრეთვე შეერთებულ შტატებზე. ინდოეთი აღმოჩნდა, თქვა მან, „იმ ქვეყნების პატივცემულ კომპანიაში, რომელთაც დოლარის დეფიციტი ტანჯავს“. ინდოეთის განვითარებისათვის საჭიროა მისი ვაჭრობის ბაზისის გაფართოება.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორი ჟ. ვარისი (ფინეთი), დოქტორი რუბენს დო ამარალი (ბრაზილია), ფილიპე ფრეირე (არგენტინა), პროფესორი სტევე (იტალია).

პლენარული სხდომის შემდეგ დაიწყო მუშაობა სექციებისა, რომლებადაც თათბირი დაიყო. პირველი სექცია მუშაობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პრობლემებზე, მეორე — სოციალური პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე და მესამე — სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებზე. არჩეულ იქნენ სექციების ვიცე-თავმჯდომარეები და დაისახა მთელი რიგი განსახილველი საკითხები. (საკდესი).

ირანის საშინაო საქმეებში ინგლისის ჩარევის საკითხისათვის

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ირკვევა, გუშინ ირანის მთავრობამ გაიმეორა თავისი განცხადება, რომ თანამშრომლები ინგლისის საკონსულოებისა ირანში, რომლებიც ირანიდან დაიხურა, ირანის საზიანოდ ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში.

ახალ ნოტაში, რომელსაც იქ ჩამოყალიბებულ დებულებათა დასადასტურებლად დართული აქვს იმ დოკუმენტების 9 ფოტოასლი, რომლებიც მოწმობენ ინგლისის ჩარევას, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის საელჩოს განუცხადა: „არა მარტო ინგლისის საკონსულოების თანამშრომლები ერეოდნენ ჩვენს საქმეებში, არამედ ინგლისის საელჩოც თეირანში მუდამ იყო ჩარევის ამ უკანონო აქტების ცენტრი“.

საზოგადოება „ნორვეგია-სსრ კავშირის“ დელეგაციამ საქართველოში

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის [illegible] კავშირი საზოგადოების მოწვევით საბჭოთა კავშირში მყოფმა საზოგადოება „ნორვეგია-სსრ კავშირის“ დელეგაციამ, რომელსაც სვერე ვესტგეკი მეთაურობს, ერთ კვირას დაჰყო საქართველოში.

სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს ბალნეოლოგიური კურორტი, იყვნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ისტორია-ეთნოგრაფიის მუზეუმში, ყოფილ ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ბრიშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაობას, ინახულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი და თბილისის წყალსაცავი.

სტუმრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „მთების გული“ და თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში — სპექტაკლს „აბესალომ და ეთერი“, ამასთან შეხვდნენ საქართველოს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს.

დელეგაცია იყო გორში, ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლოში, აგრეთვე საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. სტუმრები გაემგზავრნენ ქობულეთში — რესპუბლიკის ერთერთ უდიდეს სუბტროპიკულ რაიონში, სადაც დაათვალიერე